ცესკომ კიდევ ერთი კანდიდატურა დაამტკიცა
ორშაბათი, 12 აგვისტო 2013 16:49

დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მორიგი სხდომა ჩატარდა.
სხდომაზე 2013 წლის 11 აგვისტოს რიცხვით სხდომის ოქმი დამტკიცდა. შემდეგ ზოგი საარჩევნო ოლქის საზღვრებში, დისლოკაციაში და გრაფიკულ გამოსახულებებში ცვლილებების გადაწყვეტილება მიიღეს. ამის შესახებ ცესკოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათიგ მამედოვმა განაცხადა.
კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებით პირადი ინიციატივით მიმმართავი ილგარ

ალი ოღლი მამედოვის (ალთაი) შესახებ კი ცესკოს მდივანმა არიფა მუხტაროვამ განაცხადა. სხდომაზე ილგარ მამედოვის (ალთაი) კანდიდატურის წამოყენების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.
შეხვედრაზე მოსაუბრე ცესკოს თავმჯდომარემ მაზაჰირ პენაჰოვმა კანდიდატებს ხელმოწერების შეგროვების პროცესისთვის სერიოზულად მიდგომა სთხოვა.
აღსანიშნავია, რომ 8 პრეზიდენტობის კანდიდატმა ცესკოს საარჩევნო დოკუმენტაცია წარუდგინა. ესენი არიან: ახალი აზერბაიჯანის პარტიის (ააპ) თავმჯდომარე, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, თავისუფალი პარტიის თავმჯდომარე ახმედ ორუჯი, მოქალაქეობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარე ალი ალიევი, აზერბაიჯანის ლიბერალური დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ფუად ალიევი, ასდპ-ს თავმჯდომარე არაზ ალიზადე, მასფპ-ის თავმჯდომარე გუდრათ ჰასანგულიევი, საკუთარი ინიციატივით კანდიდატურის წამომყენებელი იურისტი ილგარ მამედოვი (ილგარ ალთაი) და იმედის პარტიის თავმჯდომარე დეპუტატი იგბალ აღაზადე.
წამოყენებული ი. ალიევის, ა. ორუჯის კანდიდატურები დამტკიცდა.
ცესკომ საპრეზიდენტო არჩევნების 9 ოქტომბერს ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო.

1 / 2

ცესკომ კიდევ ერთი კანდიდატურა დაამტკიცა
ორშაბათი, 12 აგვისტო 2013 16:49

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა. აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება.

2 / 2